

სარჩევი

სფეროს რეგულირება	2
საავტორო უფლება	2
ავტორი	2
საავტორო უფლების წარმოშობა	3
საავტორო უფლების ობიექტი - ნაწარმოები	3
საავტორო ქონებრივი უფლებები	6
საავტორო ქონებრივი უფლება სამსახურებრივ და შეკვეთით შექმნილ ნაწარმოებზე	7
ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები	8
მედიის საავტორო უფლებები	9
მომიჯნავე უფლებები და მათი წარმოშობა სამაუწყებლო მედია სივრცეში	10
სამაუწყებლო მედია, როგორც მომიჯნავე უფლების სუბიექტი	11
სამაუწყებლო მედიის განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების შეზღუდვა	12
მოსარგებლე	12
სამაუწყებლო მედია, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებებით მოსარგებლე	13
საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა სამაუწყებლო პროგრამების მომზადებისას	13
ბეჭდური მედია, როგორც საავტორო ან მომიჯნავე უფლებებით მოსარგებლე	13
საავტორო და მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადები	14
საავტორო და მომიჯნავე უფლებით სარგებლობისას არსებული გამონაკლისები	16
საავტორო და მომიჯნავე უფლებების ინდივიდუალური და კოლექტიური მართვა	18
საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა, პასუხისმგებლობა	22
მარეგულირებელი აქტები.	24



სფეროს რეგულირება

სავტორო და მომიჯნავე უფლებების სფერო რეგულირდება „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, გარდა ამ კანონისა, ამ სფეროში არსებულ დარღვევებს და პასუხისმგებლობის ზომებს ასევე ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. საქართველო ასევე მიერთებულია სავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებულ ყველა ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, მათ შორის 1866 წლის „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას“, 1961 წლის „შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შესახებ რომის კონვენციას“ და სხვა.

საავტორო უფლება

სავტორო უფლება არის უფლება, რომელიც წარმოიშობა ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე.

სავტორო უფლება შედგება სავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებებისგან.

ავტორი

ავტორი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა მეცნიერების, ხელოვნების ან ლიტერატურის ნაწარმოები. ავტორი შეიძლება იყოს:

- მუსიკალური ნაწარმოების ავტორი - კომპოზიტორი, ტექსტის ავტორი, არანჟირების ავტორი;
- ლიტერატურული ნაწარმოების (პოემა, ლექსი, მოთხრობა, ნოველა, სტატია და სხვა) ავტორი და/ან მთარგმნელი;
- მეცნიერების ნაწარმოების (სამეცნიერო კვლევები, სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები და სხვა) ავტორი და/ან მთარგმნელი;

- რეჟისორი, სცენარისტი და კინემატოგრაფიული ნაწარმოების სხვა ავტორი;
- დრამატურგი და თეატრალური ხელოვნების სხვა ავტორი;
- მხატვარი, ფოტოგრაფი და სახვითი ხელოვნების ნაწარმოების სხვა ავტორი;
- არქიტექტორი, მოქანდაკე, დიზაინერი და არქიტექტურული, მონუმენტური ნაწარმოების სხვა ავტორი;
- სხვა ნებისმიერი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოების ავტორი.


საავტორო უფლების წარმოშობა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით (ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, მუსიკალური ჩანაწერი და სხვა) და შესაძლებელია მისი აღქმა და რეპროდუცირება (ასლის შექმნა).

საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისთვის არ არის აუცილებელი ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

საავტორო უფლების ობიექტი - ნაწარმოები

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა იმ ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა, რაც გულისხმობს, რომ ნაწარმოების გამოცემა ან გამოქვეყნება არ არის სავალდებულო ნაწარმოებზე საავტორო უფლების წარმოშობისთვის.




საავტორო უფლება ვრცელდება ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ ყველა ნაწარმოებზე, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგინაობისა, უანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

საავტორო უფლების ობიექტებია:

- ლიტერატურული ნაწარმოები (მოთხრობა, ლექსი, პოემა, ნოველა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);
- ხელოვნების ნაწარმოები (მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ, ქორეოგრაფიული ნაწარმოები, დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, აუდიოვიზუალური ნაწარმოები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები, ფოტოგრაფიული ნაწარმოები, არქიტექტურული ნაწარმოები და სხვა);
- მეცნიერების ნაწარმოები (რუკა, გეგმა, ესკიზი, დისერტაცია და სხვა).

საავტორო უფლების ობიექტს ასევე წარმოადგენს გადამუშავებული და შედგენილი ნაწარმოები, როგორცაა:

- გადამუშავებული ნაწარმოები (თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პნკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და სხვა);
- შედგენილი ნაწარმოები (კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა).



გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებზე საავტორო უფლების დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარება ან შეიცავს ეს ნაწარმოები. მაგალითად, თუ ავტორმა გადაამუშავა საავტორო უფლებით დაუცველი ნაწარმოები, გადაამუშავებული ნაწარმოები დაცული იქნება საავტორო უფლებით, იმის მიუხედავად, რომ ნაწარმოები, რომელსაც ემყარება ეს ნაწარმოები, არ წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს.

საქართველოს კანონმდებლობა, სხვა ქვეყნების მსგავსად, ადგენს გამონაკლისებს, რაზეც არ ვრცელდება საავტორო უფლება და რაც არ წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს.

საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცმსხმულია ნაწარმოებში. მაგალითად, რომელიმე არსებული სცენარის იდეის საფუძველზე ახალი ნაწარმოების (ფილმი, სპექტაკლი, მოთხრობა და სხვა) შექმნა არ გამოიწვევს სცენარის ავტორის საავტორო უფლების დარღვევას. ასევე, ჟურნალისტების მიერ ერთი და იმავე ფაქტის გაშუქება არ გამოიწვევს ამ ფაქტის აღმომჩენის საავტორო უფლების დარღვევას.

საავტორო უფლება ასევე არ ვრცელდება:

- სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე - ჰიმნი, დროშა, გერბი, ჯილდო, ფულის ნიშნები;
- ოფიციალურ დოკუმენტებზე - კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები;
- სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლოებისა და დოკუმენტების თარგმანზე;
- ინფორმაციაზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

დასახელებულ ობიექტებზე საავტორო უფლება არ ვრცელდება მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცმსხმულია ნაწარმოებში.

საავტორო ქონებრივი უფლებები

ავტორის საავტორო ქონებრივ უფლებას წარმოადგენს ჰონორარის მიღების უფლება და განსაკუთრებული უფლება, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენება, კერძოდ:

- საჯარო გადაცემის უფლება - ნაწარმოების ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტისა და სხვა მსგავსი საშუალებით გადაცემა;
- საჯარო შესრულების უფლება - ნაწარმოების შესრულება ცოცხლად ან ჩანაწერის საშუალებით; მაგალითად, ნაწარმოების შესრულება რესტორანში, სასტუმროში, კონცერტებზე და სხვა;
- საჯარო ჩვენების უფლება - ნაწარმოების უშუალოდ ეკრანზე დემონსტრირება;
- რეპროდუცირების უფლება - ხმის ან ვიდეოჩანაწერის სახით ნაწარმოების მთლიანი ვერსიის ან ნაწილის ასლის დამზადება; მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოების კომპაქტდისკზე ჩანერა;
- რეპროგრაფიული გამრავლების უფლება - წერილობითი ან გრაფიკული ნაწარმოების ფაქსიმილური რეპროდუცირება, რაც გულისხმობს წიგნის ასლის გადაღებას და სხვა;
- გავრცელების უფლება - ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გავრცელება, გაყიდვის ან სხვაგვარად გადაცემის გზით. გავრცელებად ჩაითვლება, მაგალითად, წიგნის ასლის გაყიდვა ან განუქება;
- იმპორტის უფლება - ნაწარმოების საზღვარგარეთ გავრცელება გაყიდვის ან გაქირავების გზით;
- გადამუშავების უფლება - ერთი ან რამდენიმე ნაწარმოების გადამუშავების შედეგად ახალი ნაწარმოების შექმნა;
- სხვა.

საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელი შესაძლებელია იყოს არა მარტო ავტორი, არამედ სხვა ნებისმიერი ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც კანონის და/ან ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს საავტორო ქონებრივ უფლებებს.



საავტორო ქონებრივი უფლება სამსახურებრივ და შეკვეთით შექმნილ ნაწარმოებზე

სამსახურებრივ და შეკვეთით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემის საკითხი ხშირ შემთხვევაში სადავო ხდება.

აღნიშნულ ურთიერთობებს საქართველოს ტერიტორიაზე არეგულირებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის თანახმად, მსგავსი საკითხების რეგულირებისას, გადამწყვეტია დამსაქმებელს/შემკვეთსა და დასაქმებულს/შემსრულებელს/ავტორს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არსებობს ხელშეკრულების (გარიგების) ორი ფორმა: ზეპირი და წერილობითი.

დამსაქმებელსა და ავტორს შორის წერილობითი ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს დაკვეთით და/ან სამსახურებრივი მოვალეობისას შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემის საკითხს, ავტორის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები ეკუთვნის დამსაქმებელს/შემკვეთს.

ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში, საავტორო ქონებრივი უფლებები ეკუთვნის ავტორს.

საავტორო უფლებების გადაცემისას, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს მხარეებს შორის წერილობითი ხელშეკრულების არსებობას და ასეთი ფორმის არარსებობის შემთხვევაში ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები გადაცემულად არ ითვლება. შესაბამისად, აღნიშნული ურთიერთობებისას, მხოლოდ ფორმის დაცვით დადებულმა გარიგებამ შეიძლება წარმოშვას მხარეთა უფლება-მოვალეობები, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ბათილია კანონით გათვალისწინებული, აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული ყველა გარიგება.

გამომდინარე აქედან, წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების დროს ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები გადაეცემა დამსაქმებელს/შემკვეთს, თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემის საკითხს, ხოლო ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში - დასაქმებულს/შემსრულებელს/ავტორს.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

სავტორო ქონებრივი უფლებებისგან განსხვავებით, არაქონებრივი - პირადი უფლებები (უცხოეთის კანონმდებლობაში ძირითადად - მორალური უფლებები) კანონში ამომწურავად არის ჩამოთვლილი.

ავტორს გააჩნია შემდეგი პირადი არაქონებრივი უფლებები:


- აღიარებულ იქნას ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე (ავტორობის უფლება). ეს დათქმა ანიჭებს ავტორს უფლებამოსილებას, ნებისმიერ მოსარგებლეს მოსთხოვოს ნაწარმოების ყველა ეგზემპლარზე მისი სახელის მითითება; ასევე, მისი სახელის ნაცვლად მიუთითოს ფსევდონიმი და მოითხოვოს ასეთი მითითება ან საერთოდ უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება). ავტორი თავად წყვეტს, რა ფორმით გახდება იგი საზოგადოებისთვის ცნობილი, საკუთარი სახელით თუ ფსევდონიმით. ასევე, ავტორს შეუძლია ანონიმურად გამოაქვეყნოს ნაწარმოები. ამ შემთხვევაშიც, ავტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს ან აკრძალოს ყველა ეგზემპლარზე ფსევდონიმის მითითება. გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. ავტორის სურვილზეა დამოკიდებული, ნაწარმოებს, შექმნისთანავე გახდის ცნობილს თუ უფრო მოგვიანებით. ასევე, მისი გადასაწყვეტი, რა ფორმით გახდის ცნობილს ნაწარმოებს - იქნება ეს სატელევიზიო თუ სხვა საშუალება;
- ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ასევე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე, წინ აღუდგას მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება);
- დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისგან ან სხვაგვარი ხელყოფისგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება). ავტორის ნებართვის გარეშე შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლებელია დაამახინჯოს ნაწარმოები, ან შეეხოს ისეთ საკითხებს, რომელიც ლახავს ავტორის პატივსა და ღირსებას;
- ნება დართოს სხვა პირებს დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა);
- მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია, საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

მედიის საავტორო უფლებები

კანონი ანესრიგებს მასმედიის სფეროში საავტორო უფლებების დაცვის საკითხს. კერძოდ, ბექდურ მედიას აქვს პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოებების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. მაგალითად, გაზეთის, ჟურნალის და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნის ამ გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. აღნიშნულ უფლებას ასევე ინარჩუნებენ გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა ავტორები, თუ გამომცემელსა და ავტორს შორის დადებული ხელშეკრულებით და კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გამომცემლობა, განსაკუთრებულ უფლებასთან ერთად, სარგებლობს სახელის უფლებითაც. მას უფლება აქვს, გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება. დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის გამომცემლის ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამონება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა.



მომიჯნავე უფლებები და მათი წარმოშობა სამაუწყებლო მედია სივრცეში

მომიჯნავე უფლება არის შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის და სამაუწყებლო გადაცემის ნებისმიერი სახით გამოყენების, გამოყენებაზე ნების დართვის და აკრძალვის განსაკუთრებული უფლება, რომელიც ხორციელდება საავტორო უფლებათა პატივისცემის გზით.

მომიჯნავე უფლების მფლობელები არიან: შემსრულებელი, ფონოგრამის და ვიდეოგრამის დამამზადებელი და მაუწყებლობის ორგანიზაცია.

ისევე როგორც საავტორო უფლებების შემთხვევაში, მომიჯნავე უფლების წარმოშობისა და მისი განხორციელებისთვისაც არ არის აუცილებელი რაიმე სახის ფორმალობის დაცვა.

მომიჯნავე უფლება წარმოიშობა შემსრულებლის შემთხვევაში ნაწარმოების შესრულებისას, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის შემთხვევაში, შესაბამისი ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისას, ხოლო მაუწყებლობის ორგანიზაციის შემთხვევაში - გადაცემის ეთერში ან კაბელით გადაცემისას.

მომიჯნავე უფლება მაუწყებლობის ორგანიზაციას წარმოეშობა მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის (სიგნალის) განხორციელების მომენტიდან. აღნიშნულ გადაცემაზე სამაუწყებლო ორგანიზაცია უფლებებს ახორციელებს ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩანერილი ან/და ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

როგორც წესი, მომიჯნავე უფლებით დაცული ობიექტის შექმნა ხორციელდება სამაუწყებლო ან ბეჭდურ მედიაში დასაქმებული ჟურნალისტებისა და სხვა პირების მიერ, რომლებიც არიან უშუალოდ შემოქმედებითი პროცესის წარმმართველები. მიუხედავად ამისა, მათ მიერ შექმნილ მომიჯნავე უფლების ობიექტზე, მათ როგორც შემქმნელებს არ წარმოეშობათ განსაკუთრებული უფლებები, რადგანაც მათი მემკვიდრით იქმნება სამსახურებრივი ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნის დამსაქმებელს, ანუ ამ შემთხვევაში სამაუწყებლო ან ბეჭდურ მედიას.



სამაუწყებლო მედია, როგორც მომიჯნავე უფლების სუბიექტი

სამაუწყებლო ორგანიზაცია თავისი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ნებმიერი სახის გადაცემაზე ფლობს მომიჯნავე უფლებებს. მაუწყებლობის ორგანიზაციას საკუთარი გადაცემის განხორციელებისას შეუძლია გამოიყენოს მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი ლათინური ასო ©-ს ნიშნით, სამაუწყებლო ორგანიზაციის ლოგო და ასევე, მოითხოვოს ნებმიერი მესამე პირისაგან მის მიერ განხორციელებული გადაცემის ხელშეუხებლობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევისა.

მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აუკრძალოს ნებისმიერ პირს შემდეგი მოქმედების განხორციელება:

- გადაცემის ჩაწერა;
- გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაცემა ჩაწერილია მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რა მიზნითაც მოხდა მისი ჩაწერა;
- გადაცემის ერთდროულად გადაცემა ეთერში და კაბელით ხელახალი გადაცემა, შესაბამისად, საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის სხვა ორგანიზაციის მიერ;
- გადაცემის გადაცემა ეთერში ან კაბელით;
- გადაცემის საჯარო გადაცემა ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია;
- გადაცემის ჩანაწერის გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით;
- გადაცემის ჩანაწერის გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;
- გადაცემის ჩანაწერის გადაცემა სადენით ან/და უსადენო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეული ადგილიდან და დროს.



სამაუწყებლო მედიის განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების შეზღუდვა

საავტორო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამაუწყებლო მედიის მომიჯნავე უფლებით დაცული ობიექტების თავისუფალ გამოყენებას, კერძოდ: დაშვებულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მისი ჩანაწერების გამოყენება მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობისა და ჰონორარის გადახდის გარეშე შემდეგ შემთხვევებში:

- მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან ციტირება, სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის – მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით;
- მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ილუსტრაციის სახით გამოყენება სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის – მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;
- მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემებიდან მოკლე ნაწყვეტების ჩართვა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში;
- ფიზიკურ პირთა მიერ მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება, აგრეთვე, პირადი სარგებლობისათვის მათი რეპროდუცირება.

მოსარგებლე

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პირადი მოხმარების მიზნის გარეშე იყენებს საავტორო ან მომიჯნავე უფლებით დაცულ ობიექტს მიიჩნევა საავტორო ან მომიჯნავე უფლებებით მოსარგებლედ.



სამაუნწყებლო მედია, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებებით მოსარგებლე

სამაუნწყებლო მედია საავტორო და მომიჯნავე უფლების ნებიმიერი სახით გამოყენების შემთხვევაში ვალდებულია კანონის თანახმად გააფორმოს წერილობითი სალიცენზიო ხელშეკრულება უშუალოდ ავტორთან, მომიჯნავე უფლების მფლობელთან ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასთან.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა სამაუნწყებლო პროგრამების მომზადებისას

სამაუნწყებლო პროგრამების მომზადება ხდება სამაუნწყებლო მედიაში დასაქმებული ჟურნალისტების ან სხვა პირების მიერ, რომლებიც ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან კონკრეტულ დაკვეთას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამაუნწყებლო გადაცემა, გარდა საინფორმაციო და სპორტული პროგრამებისა, თავის თავში მოიცავს არაერთ საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცულ ობიექტს.

იმისათვის რომ, მაუნწყებლობის ორგანიზაციამ სამაუნწყებლო გადაცემის მომზადებისას შეასრულოს საავტორო კანონმდებლობის მოთხოვნები, იგი ვალდებულია დაიცვას საავტორო და მომიჯნავე უფლებები, რომელიც მოიაზრებს პირველ რიგში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებისგან შესაბამისი ნებართვის მიღებას და შეთანხმებული/დადგენილი ჰონორარის გადახდას.

სამაუნწყებლო პროგრამების მომზადებისას უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოების ჩართვას/რეპროდუცირებას (სინქრონიზაციას) სხვადასხვა პროგრამაში, რაც წარმოშობს ავტორის ან მომიჯნავე უფლების მფლობელის უფლებების დაცვის ვალდებულებას.

ბეჭდური მედია, როგორც საავტორო ან მომიჯნავე უფლებებით მოსარგებლე

ბეჭდური მედიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოების გამოცემასთან.

საავტორო კანონმდებლობა გამოცემას განმარტავს შემდეგნაირად: ავტორის, საავტორო ან მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელის, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების ან/და ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს.

ამ მუხლის მიზნებისათვის აუცილებელია ბეჭდურმა მედიამ ავტორების ან მომიჯნავე უფლებების მფლობელების თანხმობით უზრუნველყოს ნაწარმოების ტირაჟირება იმ ფორმით, რომ დაკმაყოფილოს საზოგადოების გონივრული მოთხოვნილება.

იმ შემთხვევაში, თუ პერიოდული ბეჭდური მედია აპირებს გამოსცეს საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოები, მას შეუძლია საავტორო და მომიჯნავე უფლებები დაიცვას უშუალოდ უფლების მფლობელებთან ხელშეკრულების გაფორმების გზით. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების სალიცენზიო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც.

საავტორო და მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადები

საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებების შემთხვევაში, ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

საავტორო ქონებრივი და დანარჩენი პირადი არაქონებრივი უფლებები მოქმედებს ავტორის მთელი სიცოცხლის მანძილზე და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებს ჰყავს ერთზე მეტი ავტორი, საავტორო უფლების მოქმედების ვადის ათვლა იწყება უკანასკნელი ავტორის გარდაცვალების დღიდან. ტექსტიანი მუსიკალური ნაწარმოების შემთხვევაში, საავტორო უფლება მოქმედებს თითოეული თანაავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში, იმის მიუხედავად, არიან თუ არა თანაავტორებად მითითებული ტექსტისა და მუსიკალური ნაწარმოების ავტორები, რომელთა ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა მუსიკალური ნაწარმოები.

საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა მოხდა ფსევდონიმით ან ანონიმურად, მოქმედებს ამ ფაქტის მართლზომიერად დადგომის თარიღიდან 70 წლის განმავლობაში.

საავტორო ქონებრივი უფლებების ვადის ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც ავტორი გარდაიცვალა.

საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ამონურვის შემდეგ, ნებისმიერ პირს, ყოველგვარი ნებართვისა და ჰონორარის გადახდის გარეშე შეუძლია ნაწარმოების გამოყენება.

რაც შეეხება მომიჯნავე უფლებებს, პირადი არაქონებრივი უფლებებიდან უვადოდ დაცულია და მემკვიდრეობით არ გადადის შემსრულებლის სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება. სხვა ყველა უფლება დაცულია შესაბამისი ვადით: მაგალითისათვის, შემსრულებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში პირველი შესრულებიდან. თუ ამ ვადაში შესრულების (გარდა ფონოგრამის სახით ჩანერილი შესრულებისა) ჩანაწერი გამოცემის ან საჯარო გადაცემის გზით საზოგადოებისთვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, ეს უფლება მოქმედებს აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 50 წლის განმავლობაში, ხოლო თუ ამ ვადაში ფონოგრამის სახით ჩანერილი შესრულება გამოცემის ან საჯარო გადაცემის გზით საზოგადოებისთვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, ეს უფლება მოქმედებს აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 70 წლის განმავლობაში.

ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩანერიდან. თუ ამ ვადაში ფონოგრამა ან ვიდეოგრამა გამოცემის ან საჯარო გადაცემის გზით საზოგადოებისთვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, ეს უფლება მოქმედებს აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 70 წლის განმავლობაში.

მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლება მოქმედებს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ პროგრამის სადენით ან უსადენო კავშირგაბმულობის მეშვეობით (საკაბელო ან სატელეკომუნიკაციო კავშირის ჩათვლით) პირველად გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

საავტორო და მომიჯნავე უფლებებით სარგებლობისას არსებული გამოწვევები

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებებით სარგებლობისას არსებული გამოწვევის აღმოფხვრა.

თუ მოსარგებლე იყენებს საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებს და მას აქვს პირადი სარგებლობის მიზანი, არ არის საჭირო ავტორის თანხმობა და მოსარგებლე თავისუფლდება ჰონორარის გადახდისგან.

გარდა აღნიშნულისა, მოსარგებლეს შეუძლია ავტორის ნებართვისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე გამოიყენოს ნაწარმოები შემდეგ შემთხვევებში:

- გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისთვის ციტირების ან ილუსტრირების დროს. მაგალითად, დასაშვებია გამოქვეყნებული ნაწარმოების სადისერტაციო ნაშრომში გამოყენება ციტირების მიზნით, წყაროს და ავტორის მითითებით. ასევე, გამოყენებული ნაწარმოები უნდა ამართლებდეს ციტირების და ილუსტრაციის მიზანს და არ უნდა მოხდეს მთლიანი ნაწარმოების უცვლელი სახით გადატანა; მოსარგებლეს აგრეთვე შეუძლია ჟურნალ-გაზეთების მიერ მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე გამოქვეყნებული სტატიების გამოყენებაც. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, სტატიის ავტორს სპეციალურად ჰქონდეს აკრძალული მისი ნაწარმოების გამოყენება;
- მაუწყებლობების ორგანიზაციების მიერ მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების ასლის დამზადების და/ან საჯარო გადაცემის დროს, რომელიც ემსახურება საინფორმაციო მიზანს და გამოყენებულია ამ მიზნისთვის შესაბამისი მოცულობით;
- ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების, აგრეთვე მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების, გამოყენების დროს, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;
- მართლმორიერად გამოქვეყნებული, რელიგიური, ნერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირების დროს მოგების მიღების მიზნის გარეშე, იმ ნაწარმოებების გარდა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისთვის.

მოცემულ შემთხვევებში აუცილებელია მითითებული იყოს წყარო, საიდანაც უშუალოდ გამოყენებულია ნაწარმოები და ავტორის სახელი/ფსევდონიმი.


მითითებული საგამონაკლისო შემთხვევები არ ვრცელდება შემდეგ გამოყენებაზე:

- არქიტექტურული ნაწარმოების ნაგებობის ფორმით ასლის დამზადების დროს;
- ნიგნების (სრულად), ნოტების და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოასლების შექმნის დროს;
- აუდიოვიზუალური ნაწარმოების, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოების რეპროდუცირების დროს.

მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების თავისუფალი გამოყენება ნებართვის მიღებისა და ჰონორარის გადახდის გარეშე შესაძლებელია:

- სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნით ციტირებისას, ამ მიზნისთვის გამართლებული მცირე მოცულობით;
- მოკლე ნაწყვეტების ილუსტრაციის სახით გამოყენებისას, სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის საჭირო მოცულობით და მიზნით;
- მოკლე ნაწყვეტების ჩართვისას მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში.

არსებობს ასევე შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ნებართვის გაცემა არ არის საჭირო, მომიჯნავე უფლების მფლობელი მაინც ინარჩუნებს ჰონორარის მიღების უფლებას. ეს შემთხვევებია მოგების მიღების მიზნით გამოცემული ფონოგრამის საჯარო შესრულება და საჯარო გადაცემა.



საავტორო და მომიჯნავე უფლებების ინდივიდუალური და კოლექტიური მართვა

საავტორო და მომიჯნავე უფლებების მართვა (განკარგვა), ფართო გაგებით, გულისხმობს მოსარგებლისთვის ნაწარმოების და მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემას, ჰონორარის შეგროვებასა და ნაწარმოების და მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების კონტროლს.

საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელმა შესაძლოა მართოს და განახორციელოს საკუთარი უფლებები როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით.

უფლების მფლობელს შეუძლია ინდივიდუალურად (თავად) გასცეს ნებართვა მისი ნაწარმოების გამოყენებაზე - როგორც განსაკუთრებული (ექსკლუზიური), ისე ჩვეულებრივი სალიცენზიო ხელშეკრულების ფორმით. ორივე სახის ნებართვა უნდა გაიცეს წერილობით, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული სანებართვო პირობები (ვადა, ფასი და სხვა).

ჩვეულებრივი სალიცენზიო შეთანხმების შემთხვევაში, უფლების მფლობელი მოსარგებლეს აძლევს უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით და, ამავედროულად, ინარჩუნებს უფლებას, გასცეს ასეთივე ნებართვა სხვა პირებზე.

ექსკლუზიური ლიცენზიის შემთხვევაში კი, უფლების მფლობელი სხვა პირს (მოსარგებლეს) ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს მისი ნაწარმოები და უფლების მფლობელი თავად კარგავს ამავე ნაწარმოების გამოყენებასთან



დაკავშირებით ახალი ნებართვის სხვა პირებზე გაცემის უფლებას. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს ნაწარმოების გამოყენება არა მხოლოდ მესამე პირებს, არამედ თავად უფლების მფლობელსაც.

საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელი უფლებამოსილია საკუთარი უფლება ყოველ კონკრეტულ ნაწარმოებზე გაასხვისოს სრულად ან ნაწილობრივ, როგორც სასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო ფორმით, უვადოდ ან განსაზღვრული ვადით.

საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელებს ასევე შეუძლიათ საკუთარი ქონებრივი უფლებები მართონ და ამისგან მატერიალური სარგებელი მიიღონ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით. ასეთი ორგანიზაცია მართავს მხოლოდ საავტორო და მომიჯნავე ქონებრივ უფლებებს.

უფლებების ინდივიდუალურად მართვა საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან, ერთი მხრივ, უფლების მფლობელისთვის რთულია არა მარტო ქვეყნის საზღვრებს გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც კი გასცეს ყველა ცალკეულ მოსარგებელზე ნებართვა და აკონტროლოს მისი კუთვნილი ნაწარმოებების თუ მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების კანონიერება, ხოლო მეორე მხრივ, ეს სირთულეს წარმოადგენს მოსარგებლეებისთვისაც, ვინაიდან მათ თითოეულ უფლების მფლობელთან ინდივიდუალური სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება მოუწევთ, რაც არათანაბომიერ მატერიალურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსს საჭიროებს. ამ სირთულემ გამოიწვია აუცილებლობა ჯერ კიდევ 1777 წელს საფრანგეთში, შექმნილიყო კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიური წესით მართავს საავტორო და მომიჯნავე ქონებრივ უფლებებს და აადვილებს უფლების მფლობელსა და მოსარგებელს შორის ურთიერთობას.

საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც არსებობს კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია. ასოციაცია შექმნილია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა მიერ. ასოციაციას მინიჭებული აქვს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სპეციალური სტატუსი და იგი ამ სტატუსის მქონე ერთადერთი ორგანიზაციაა ქვეყანაში.

ასოციაციის მთავარ ფუნქციას, საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო და მომიჯნავე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა წარმოადგენს, რა მიზნითაც იგი:

- აერთიანებს საქართველოში მოღვაწე საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს წევრობის ხელშეკრულების საფუძველზე და უცხოელ უფლების მფლობელებს უცხოეთის ანალოგიურ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების საფუძველზე;
- უფლების მფლობელთა მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ადგენს საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ობიექტების გამოყენების განაკვეთებს;
- გასცემს ნებართვებს (ლიცენზიებს) საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ობიექტების გამოყენებისთვის;
- აგროვებს უფლებათა მფლობელების კუთვნილ ჰონორარს;
- ანაწილებს შეროვებულ ჰონორარს ქართველი უფლების მფლობელების შემთხვევაში პირდაპირ, ხოლო უცხოელი უფლების მფლობელების შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყნების ანალოგიური ორგანიზაციების მეშვეობით, რომლის წევრებიც არიან აღნიშნული უფლების მფლობელები და რომელ ორგანიზაციასთანაც ასოციაციას დადებული აქვს ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულება;

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენს და იცავს 150-ზე მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის, ოთხ მილიონზე მეტ საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელს. თავის მხრივ, ამავე ხელშეკრულებების საფუძველზე, საზღვარგარეთ არსებული, მსგავსი მანდატის მქონე ორგანიზაციების მიერ მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში უზრუნველყოფილია ასოციაციის წევრების, საქართველოს მოქალაქე უფლების მფლობელების ქონებრივი უფლებების დაცვა. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია უზრუნველყოფს ქართველი უფლების მფლობელების რეპერტუარის რეგისტრაციას ერთიან საერთაშორისო ბაზებში, რომლითაც ხელმძღვანელობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ჰონორარის შეროვებისა და განაწილების დროს.

საზღვარგარეთ არსებული მრავალწლიანი გამოცდილების შედეგია, რომ უცხოეთის კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მიერ შეროვებული ჰონორარის აქტიურად იგზავნება საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, რომელიც,

შემდგომ, შესაბამისი უფლების მფლობელებისთვის უზრუნველყოფს მის გადახდას.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია არის ოთხი საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციის წევრი: ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC-ი), მექანიკურ უფლებათა დაცვის საზოგადოებების წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანიზაციის (BIEM-ი) რეპროდუცირების უფლების მქონე ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) და შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციების (SCAPR-ი). ქოლგა ორგანიზაციები ადგენენ წევრი ასოციაციებისთვის საქმიანობის სტანდარტებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მნიშვნელობას და საერთაშორისო დონეზე აღიარებას.

ასოციაცია ქონებრივ უფლებებს მართავს უფლების მფლობელთა სახელით. ასოციაცია უფლებამოსილია, სამართავად გადაცემული უფლებების მართვისას განუღიოს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჰონორარიდან გამოქვითოს მის შეგროვებაზე, განაწილებასა და გადახდაზე დახარჯული თანხები, რაც ასოციაციისთვის მის მიერ გაღებული ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის წყაროს წარმოადგენს.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია ვალდებულია, მის წევრებს ყოველწლიურად წარუდგინოს საქმიანობის დეტალური ანგარიში, რომელიც იმავდროულად საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვისაც.

საავტორო უფლებათა ასოციაციაში როგორც განწევრიანება, ასევე წევრობა უსასყიდლოა და არ იწვევს რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას.



საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა, პასუხისმგებლობა

საქართველოს კანონმდებლობით, საავტორო და მომიჯნავე ქონებრივი უფლებები დარღვეულად ითვლება, როდესაც ნაწარმოებს და/ან მომიჯნავე უფლების ობიექტს უფლების მფლობელის ნებართვისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე იყენებენ. ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომელიც არღვევს კანონის ამ მოთხოვნას, ითვლება საავტორო და/ან მომიჯნავე უფლების დამრღვევად.

პირადი არაქონებრივი უფლება დარღვეულია, როდესაც ნაწარმოების და/ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენებისას არ არის ან შეცდომითაა მითითებული უფლების მფლობელის სახელი; ასევე, როდესაც ნაწარმოებში ცვლილებები შედის უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, ხდება ნაწარმოების დამახინჯება და სხვა.

არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა კოლექტიური წესით არ ხორციელდება და უფლების მფლობელს შეუძლია დაცვა განახორციელოს ან უშუალოდ, ან ისარგებლოს იურიდიული მომსახურებით.

საავტორო და მომიჯნავე უფლების დარღვევისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი.





„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საავტორო უფლების დამრღვევი ვალდებულია:

- აღიაროს დარღვეული საავტორო და მომიჯნავე უფლება;
- უზრუნველყოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;
- ანაზღაუროს მიყენებული ზიანი მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, თუ დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა საავტორო და მომიჯნავე უფლების, ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევის შესახებ;
- ზიანის ანაზღაურების ნაცვლად დააბრუნოს დარღვევით მიღებული შემოსავალი;
- ზიანის ანაზღაურების ნაცვლად უზრუნველყოს კომპენსაციის გადახდა მისაღები თანხის არანაკლებ ათმაგი ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის ითვალისწინებს ჯარიმას 500 დან 3 000 ლარამდე, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმა განისაზღვრება 3 000 დან 5 000 ლარამდე.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის ასევე გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც - კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საავტორო უფლების დარღვევისთვის ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

მარეგულირებელი აქტები

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენცია (რეტიფიცირებულია 1995 წელს);
- „საავტორო უფლებების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება (რეტიფიცირებულია 2002 წელს);
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებები საავტორო უფლებების შესახებ (WCT-ი) (რეტიფიცირებულია 2002 წელს);
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის „ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (TRIPS-ი) შეთანხმება (რეტიფიცირებულია 2000 წელს);
- შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შესახებ რომის კონვენცია (რეტიფიცირებულია 2004 წელს);
- შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება (რეტიფიცირებულია 2001 წელს).

